ა(ა)იპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**ბრძანება**
05.08.2013 № 135
**თბილისი**
სტუდენტთა მობილობის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 22 ივლისის №245 ბრძანების, ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 ივნისის №948 დადგენილების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (2013 წლის 12-30 აგვისტო www.eqe.ge) განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2013 წლის 2 სექტემბრიდან 12 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე $10^{00}$ საათიდან $16^{00}$ საათამდე გამოსასვლელი დღეებისა და კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N350);

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;

3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არა უგვიანეს 14 სექტემბრისა;

5. 2013-2014 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და თანდართული დოკუმენტაციით სსიპ – განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარდგენა უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2013 წლის 17 სექტემბრისა;

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ.კლიმიაშვილს;
7. ბრძანება განთავსდეს ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი.ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ბ.მაისურაძე

*დანართი 1.*

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (დიპლომის) ასლი;
5. ეროვნული გამოცდების სერტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
6. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
7. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).

შენიშვნა: მობილობის წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სტუ-ს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების მე-15 მუხლის შესაბამისად, საფაკულტეტო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე.

*დანართი 2*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორის მოადგილე _____ ლ. კლიმიაშვილი

# დასკვნა
## სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტთა გადმოყვანა-მობილობა)

| ინფორმაცია სტუდენტის შესახებ: | | |
|---|---|---|
| სახელი და გვარი: | | |
| სტუდენტის პირადი ნომერი: | | |
| განათლების საფეხური: | ❑ პროფესიული უმაღლესი<br>❑ მაგისტრატურა | ❑ ბაკალავრიატი<br>❑ დოქტორანტურა |

| ინფორმაცია გამომშვები უმღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესახებ: | |
|---|---|
| გამომშვები უსდ-ს დასახელება: | |
| გამომშვებ უსდ-ში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |
| გამომშვებ უსდ-ში სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი: | |

| ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ: | |
|---|---|
| მიმღები ფაკულტეტის დასახელება: | |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |

| სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი: | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ გამომშვებ უსდ-ში შესწავლილი საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით) | სასწავლო კურსის მოცულობა, | | შეფასება | სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით) | სასწავლო კურსის მოცულობა, | |
| | ECTS კრედიტი | აკადემიური საათი | | | ECTS კრედიტი | აკადემიური საათი |
| | | | | | | |
| | | | | | | |

| გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ: | |
|---|---|
| სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში შესწავლილი საგნების რაოდენობა: | |
| სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა: | |
| მათ შორის სტუ -ს მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა: | |
| მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა: | |

**დასკვნა:**

❑ რეკომენდირებულია გადმოყვანა ❑ გადმოყვანა არ არის რეკომენდირებული

**შენიშვნა**

_____

| | |
|---|---|
| **ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა:** | |

| **ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი** | | |
|---|---|---|
| № | საგნის დასახელება | ECTS კრედიტი |
| | | |
| | | |
| | სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: | |

სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი: _____ _____
ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი: _____ _____
ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი: _____ _____
ხელმოწერა

აკადემიური დეპარტამენტის უფროსი: _____ _____
ხელმოწერა